



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა  
(დედამიწის მეგობრები - საქართველო)

# გარემო და საზოგადოება

ენერგეტიკა  
თბილისში მიმდინარე განახლებადი  
საინვესტიციო პროექტები



## შინაარსი

თბილისი.....	3
თბილისში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები .....	5
(29 დეკემბერი 2017 წელი) .....	5
კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით.....	5
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე.....	6
გამოქვეყნებული მემორანდუმები .....	7
ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები) .....	7

## თბილისი

თბილისი (1936 წლის 17 აგვისტომდე ტფილისი), დედაქალაქი და მუნიციპალიტეტი საქართველოში; 1922–1936 წლებში ერთდროულად იყო ამიერკავკასიის სფსრ დედაქალაქი; მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ქვაბულში, მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, ზღვის დონიდან 380–600 მ სიმაღლეზე, ჩრდილოეთით ესაზღვრება საგურამოს ქედის სამხრეთი მთისწინეთი, აღმოსავლეთით — ივრის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი, დასავლეთით და სამხრეთით კი — თრიალეთის ქედის განშტოებები. ქალაქს უჭირავს 502 კმ<sup>2</sup> ფართობი და 1.152 მილიონზე მეტი მცხოვრები ჰყავს.

თბილისი კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი ინდუსტრიული, სოციალური და კულტურული ცენტრია და ბოლო დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძი ხდება გლობალური ენერგომატარებლებისა და სავაჭრო პროექტებისთვის. ქალაქი ისტორიული აბრეშუმის დიდი გზის ერთ-ერთ მარშრუტზე მდებარეობს და მნიშვნელოვანი სავაჭრო/სატრანზიტო ცენტრის პოზიცია უჭირავს.

თბილისის ბუნება მრავალფეროვანია. ქალაქის წყლის მთავარი არტერიაა მტკვარი, რომელიც ქალაქს კვეთს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში, წყალმცირობა — ზამთარში. თბილისის ფარგლებშია მტკვრის შენაკადები: მარჯვენა — დიდმისწყალი, ვერე და წავკისისწყალი. მარცხენა — გლდანისხევი და ლოჭინი. თბილისის ფარგლებშია აგრეთვე სამგორის სარწყავი სისტემის ზემო და ქვემო მაგისტრალური არხების უკიდურესი დასავლეთი მონაკვეთები, თბილისის წყალსაცავი, ლისისა და კუს ტბები.

თბილისის მიდამოებში ტყეები დიდი ხანია გაიჩეხა და ამჟამად როგორც ქალაქის დასახლებულ ნაწილში, ისე მოსაზღვრე ვაკეებზე, გორაკ-ბორცვებსა და მთის კალთებზე უპირატესად ხელოვნურად გაშენებული ხემცენარეულობა (მ. შ. წიწვოვანები) ხარობს. განაშენიანებული ტერიტორიის ირგვლივ ჭარბობს სტეპის ბალახეულობა და ჯაგეკლიანი ბუჩქნარი, უფრო დაშორებულ ადგილებში, ქედების კალთებზე კი მეორეული ფართოფოთლოვანი ტყეებია.

თბილისის რელიეფში განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის ზღვა. აქ რამდენიმე ათეული წლის წინ სამი მლაშე ტბა იყო. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ტბები მდინარე მტკვრის უძველეს ხეობაში მდებარეობდა.

თბილისის ჰავა, ზოგადი ნიშნების მიხედვით, სუბტროპიკულ-სემიარიდულია (სუბხმელთაშუაზღვიური კლიმატის ელემენტებით). ზაფხული თბილისში საგრძნობლად ცხელია. ივლისში ჰაერის საშუალო ტემპერატურა  $+24,4^{\circ}$ -ია. ზამთარი ცივია (იანვარში  $+0,9^{\circ}$ ). ნალექის საშუალო რაოდენობა 540 მმ-ის ტოლია. ნალექების მაქსიმუმი დამახასიათებელია გაზაფხულისთვის, მინიმუმი კი — ზამთრისთვის. თოვლის საფარი აქ ყოველწლიურად არ ყალიბდება.

თბილისის მნიშვნელოვანი წიაღისეულია გოგირდწყალბადიანი თერმული მინერალური წყალი, რომელიც მრავალ ადგილას გამოდის ქალაქის ძველ უბნებში მტკვრის ორივე მხარეს. მათ ბაზაზე ძველთაგანვე მოწყობილია აბანოები, ხოლო შემდეგ მოეწყო თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი. თიხის საბადოა დიღმის ვაკეზე. თიხის ნაწილს იყენებენ აგურის წარმოებაში. ორხევი არის გაჯის საბადო. ავჭალაში მოიპოვება კვარცის სილა.



## თბილისში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები (29 დეკემბერი 2017 წელი)

კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგენილი სიმძლავრე (მვტ.)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის დაწყების თარიღი	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
1	თბილისი ჰესი	შპს ჰიდროლეა	37,002,000	თბილისი	მტკვარი	20.20	113.00	21.10.2016	21.10.2018	21.10.2018	21.10.2018	21.10.2020	21.10.2020

## ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგენილი სიმძლავრე (მვტ.)	სავარაუდო წლიური გამოიმუშავება (გვტ.სთ.)	მშენებლის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
2	თბილისის ქარის ელექტროსადგური	სს კავკასიის ქარის კომპანია	81,166,113	თბილისი	-	49.50	199.94	15.03.2017	15.09.2018	-	-	-	-
3	მარტყოფის ქარის ელექტროსადგური	სს კავკასიის ქარის კომპანია	69,256,481	თბილისი	-	50.40	172.20	15.03.2017	15.09.2018	-	-	-	-
4	თბილისის ზღვის ჰესი	შპს აქუა ენერჯი ჯორჯია	630,000	თბილისი	ზემო სამგორის სარწყავი სისტემის, ზემო მაგისტრალური არხის წყალსაგდების მიმდებარე ტერიტორია	0.50	3.20	07.08.2017	7.02.2018	-	-	-	-
5	გლდანის მზის ელექტროსადგური	სს კავკასიის მზის კომპანია	49,084,875	თბილისი	-	50.00	66.70	21.02.2017	21.08.2018	-	-	-	-

## გამოქვეყნებული მემორანდუმები

[თბილისი ჰესი](#)[თბილისის ქარის ელექტროსადგური](#)[მარტყოფის ქარის ელექტროსადგური](#)[გლდანის მზის ელექტროსადგური](#)

ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები)

დაგეგმილი პროექტები						
№	ჰესის დასახელება	მდინარის დასახელება	რეგიონი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ.)	საშუალო წლიური გამოიმუშავება (მლნ. კვტ.სთ.)	რეგულირების სახეობა
1	დიდომი ჰესი	მტკვარი	თბილისი	17.50	95.00	მოდინებაზე

მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.



გამოცემაზე მუშაობდნენ: მარია ფიროსმანაშვილი, თათული კვარაცხელია

---

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო  
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4  
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: [info@greens.ge](mailto:info@greens.ge)  
ვებ-გვერდი: [www.greens.ge](http://www.greens.ge)



